

## ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

### სხდომის

### ოქმი # 7

ქ. ონი

10. 07. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

**ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 11 წევრი:** შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, გოჩა მეტრეველი, ვანო ბაღაშვილი, ვლადიმერ ჩლაიძე, გივი მეტრეველი, გელა მეტრეველი, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი.

**არ ესწრებოდა:** ნოდარ ბურდილაძე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დიმიტრი საყვარელიძე, საფინანსო სამსახურის უფროსი ვალერიან გობეჯიშვილი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: დ. საყვარელიძე-მერის პირველი მოადგილე

2. „2019 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დ. საყვარელიძე-მერის პირველი მოადგილე

3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: შ. ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე

4. ინფორმაცია 2019 წლის ექვს თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტში საშემე და სამასალე მერქნით მოსახლეობის უზრუნველყოფისა და ტყეკაფებში მისასვლელი საავტომობილო გზების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ვ. ბაღაშვილი-გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე

6. ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: შ. ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს:** 1. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: დ. საყვარელიძე-მერის პირველი მოადგილე

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ვ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ მერიაში შექმნილია კომისია, რომლის ფუნქცია მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების განსაზღვრაა, შემუშავებულია გეგმა და პროექტები უნდა ხორციელდებოდეს ამ წინასწარ შემუშავებული პრიორიტეტების გეგმის მიხედვით და ამა თუ იმ პროექტის დაფინანსება აღარ გახდება საკამათო. ერთი და იგივე სოფელში რამდენჯერმე კეთდება წყალი, მაშინ, როცა სამი წელია ვითხოვთ როგორც ტურისტულად დატვირთული, ისე ადგილობრივი მაცხოვრებლებით ყველაზე ხალხმრავალი სოფლის, უწერისთვის სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებას. ამ შემთხვევაში, რა უპირატესობა აქვს გომსა და ჯინჭვისში 21 000 ლარის გამოყოფას სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციისთვის და რატომ არაა პრიორიტეტული, თუნდაც უწერაში, ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარება? შ. ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფა ყველა მუნიციპალიტეტის პრობლემაა, ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით სახელმწიფომ შეიმუშავა პროგრამა, რომლის განხორციელებისთვისაც მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 20 მლნ. ლარი.

ასევე, შ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ არაერთ სხდომაზე დაისვა საკითხი სოფ. ბარის სასმელი წყლის პრობლემის მოგვარების შესახებ, თუმცა პრობლემა კვლავ გადაუჭრელია და მიმართა მერის პირველ მოადგილეს, გაითვალისწინონ მოსახლეობის მოთხოვნა და იზრუნონ საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

**მოისმინეს: 2.** „2019 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 11 განკარგულებაში ცვლილების შეტანია თაობაზე.

მომხსენებელი: დ. საყვარელიძე-მერის პირველი მოადგილე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

**მოისმინეს: 3.** ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: შ. ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომას გააცნო ანგარიში 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

**გადაწყდა:** წარმოდგენილი ანგარიში შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს: 4.** ინფორმაცია 2019 წლის ექვს თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ინფორმაცია 2019 წლის ექვს თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

**გადაწყდა:** წარმოდგენილი ინფორმაცია შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს: 5.** ინფორმაცია მუნიციპალიტეტში საშემე და სამასალე მერქნით მოსახლეობის უზრუნველყოფისა და ტყეკაფებში მისასვლელი საავტომობილო გზების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ვ. ბალაშვილი-გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე

ვ. ბალაშვილმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში საშემე და სამასალე მერქნით მოსახლეობის უზრუნველყოფისა და ტყეკაფებში მისასვლელი საავტომობილო გზების მდგომარეობის შესახებ.

**გადაწყდა:** წარმოდგენილი ინფორმაცია შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

**მოისმინეს: 6.** ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: შ. ჯაფარიძე-საკრებულოს თავმჯდომარე

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს წარუდგინა საკითხი ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

ბიუროს წევრებმა გადაწყვიტეს შეწყდეს აღნიშნული საკითხის განხილვა.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**შუქურა ჯაფარიძე**

საკრებულოს თავმჯდომარე